ქ.თბილისი, ისანი-სამგორის რ-ნში წინანდლის ქ. №9-ში მდებარე შპს „კარდიულოგიური კლინიკა „გული“ (საკადასტრო კოდი 01.17.13.001.315) შენობის „ს“ბლოკზე სართულის დაშენების

კონსტრუქციული დასკვნა

მე (საქართველოს კონსტრუქტურთა ასოციაციის წევრი ა.მჭედლიშვილი) ვიმყოფებოდი მოცემულ მისამართზე აღნიშნული შენობის შესასწავლად. შენობა ორ სართულიანია, გააჩნია სარდაფის სართული,შენობის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს რ/ბ-ის მონ. კარგასი, რომელის სვეტებიც ეყრდნობა რ/ბ მონოლითურ B=120მმ. ლენტას, გადახურვები მოწყობილია რ/ბ-ის ასაწყობი ღრუტანიანი ფილებით, საკედლე შევსებად მიღებულია ბეტონის წვრილი საკედლე ბლოკი, შენობა აშენებულია 2000 წელს და შესაბამისად მშენებლობა განხორციელებულია 8 (რვა)ბალიანი სამშენებლო რაიონების ნორმების გათვალისწინებით, მას სრულად აქვს გავლილი ჯდომითი პროცესი, სადაც არ გამოვლენილია ძირითად კონსტრუქციებზე დეფორმაციები, კერძოდ ვიზუალურმა დათვალიერებამ ცხადყო, რომ სარდაფის სართულზე ჯდომითი აუცილებელი ნორმატიული პროცესის დროს წარმოიქმნა იატაკის დეგორმაცია, რამაც გამოწვია ამ იატაკზე დაფუძვნებული ტიხრების დაბზარვა,შენობა დაფუძვნებულია მოყვითალო ფერის თიხნარზე ძლიერი თაბაშირშემცველობით, კენჭნარის ჩანართით r 1,7 სმ^2 ძირითადი კონსტრუქციები, კერძოდ რ/ბ-ის მონ, კარკასი და სართულშუა გადახურვები არ დაზიანებულა, მასზე დეფორმაციები ასახული არაა.

არხიტექტურული პროექტით შენობაზე დასაშენებულია ერთი სართული, დღევანდელი შესაძლებლობით დაშენება დასაშვებად მიმაჩნია მსუბუქი კონსტრუქციების გამოყენებით, კერძოდ ლითონის მზიდი კარკასით, მსუბუქი ქაფბეტონის საკედლე შემავსებლით, თაბაშირმუყაოს ტიხრებით და ჭერის მსუბუქი გადახურვის კონსტრუქციებით ყოველივე აქედან გამომდინარე ვასკვნი.

დასკვნა

სართულის დაშენება არსებული შენობაზე დასაშვებად მიმაჩნია მხოლოდ ზევით აღნიშნული მსუბუქი კონსტრუქციების გამოყენებით, რაც არ გამოიწვევს მზიდი კონსტრუქციების გადატვირთვას.

კონსტრუქტორი: ა.მჭედლიშვილი